გისენის (გერმანია) უნივერსიტეტის სტიპენდიები თსუ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის (2013/2014)

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს 2013/2014 სასწავლო წლისათვის გისენის უნივერსიტეტში ერთსემესტრიანი სასწავლო სტიპენდიის მოსაპოვებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ თსუ იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის, ინფორმატიკის, ფიზიკის, გეოგრაფიის, აგრარული მეცნიერებების, ეკოტროპოლოგიისა და გარემოს მენეჯმენტის ბაკალავრიატის III, IV, V სემესტრის და მაგისტრატურის I და II სემესტრის სტუდენტებს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

- ელექტრონულად შევსებული ფორმულარი (2 ეგზემპლარი)
- ერთი რეკომენდაცია ქართულ და გერმანულ ენაზე (ნოტარიული დამოწმება არ არის საჭირო)
- ბაკალავრიატში ან მაგისტრატურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა ფაკულტეტის დეკანატიდან (ქართულ ენაზე)
- ბაკალავრის დიპლომის და დიპლომის დანართის ასლი (ეხებათ მხოლოდ მაგისტრატურის სტუდენტებს)
- ნიშნების ამონაწერი ფაკულტეტის დეკანატიდან ქართულ ენაზე
- ინფორმაცია მიმღებ უნივერსიტეტში შესაბამისი სასწავლო მიმართულების არსებობის შესახებ **(www. uni-giessen.de)**
- ორი ფერადი ფოტო–სურათი ზომით 3/4 (გთხოვთ, დააკრათ ფორმულარებს)
- პასპორტის ასლი

შესარჩევი კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

I ეტაპი – გერმანული ენის ტესტი (B2 დონე); II ეტაპი – გასაუბრება

კონკურსის I ეტაპი (ტესტირება) გაიმართება 2012 წლის 20 ნოემბერს, 10 საათზე

საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში (უნივერსიტეტის ქ.#11)

აუცილებლად იქონიეთ თან პირადობის მოწმობა!

გაცვლითი პროგრამა არ ანაზღაურებს საერთაშორისო მგზავრობისა და დაზღვევის ხარჯებს.

<u>საბუთების მიღების ბოლო ვადაა: 2012 წლის 16 ნოემბრის 12 საათი</u>

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და საბუთების ჩასაბარებლად მიმართეთ ირინა გამყრელიძეს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში (თსუ მეორე კორპუსი, მეორე სართული, ოთახი 204).

შენიშვნა: დაგვიანებული ან/და არასრული განაცხადები არ მიიღება!
კონკურსზე არ დაიშვებიან 2012/2013 სასწავლო წლის გისენის კონკურსის გამარჯვებულები!

თსუ საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი; ტელ/ფაქსი: +99532.2250212
TSU Department of Foreign Relations; Tel/Fax: +99532.2250212